საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №76

ქ. ბათუმი 26 ივლისი, 2017 წ.

,,ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37-ე დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37-ე დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები, კერძოდ, დანართის:

ა) პირველ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,ბსუ") აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში ,,პროგრამა"), მათ შორის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის (გეგმის) შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს.";

ბ) მე-2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

,,მუხლი 2^1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა (გეგმა)

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა არის სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი პროგრამა.

2. სტუდენტის განსხვავებული საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (შემდეგში ,,ისგ"), უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში ამ სტუდენტის შეუფერხებელი ჩართვის (ინტეგრირების) მიზნით.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის სპეციალური საგანმანათ-ლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ეხმარება მას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) არის პირი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება.

5. სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაში მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობა სწავლის პროცესში ან სწავლის სირთულეები, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც შეუძლებელია სპეციალური დახმარების გარეშე.

6. ისგ-ს შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სსსმ სტუდენტმა უნდა მიმართოს აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს. სტუდენტის საჭიროებისა და უნივერსიტეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობითა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, შემუშავდება ისგ, რომელიც დაეყრდნობა სტუდენტის შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების შეფასებას, შესაბამისად განისაზღვრება პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნები, ამოცანები და განხორციელების პროცედურა.

7. ისგ-ს შემუშავება ხორციელდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.

8. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებუ-რებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით, რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

9. ისგ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახურის უფროსს და მიღებული რეკომენდაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინების შემდეგ წარედგინება განსახილველად ფაკულტეტის საბჭოს. ისგ-ს დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად".

10. დადგენილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს.

11. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**